

შემოსავლების სამსახურის განმარტება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლზე

ეკონომიკური საქმიანობა

მუხლი 9. ეკონომიკური საქმიანობა

ნაწილი 1. ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ანალიზი:

ა) პირის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია დადგინდეს არის თუ არა მისი საქმიანობა საგადასახადო კოდექსის მიზნებისთვის ეკონომიკური საქმიანობა.

მაგალითად, ეკონომიკურ საქმიანობას უკავშირდება პირის გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება (სსკ-ის 66-ე მუხლი) .

დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება და შესაბამისი ოპერაციების ამ გადასახადით დაბეგვრის ვალდებულება პირს წარმოეშობა იმ შემთხვევაში, თუ იგი ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას (სსკ-ის 157-ე მუხლი) .

მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება საბიუჯეტო, საერთაშორისო ან/და საქველმოქმედო ორგანიზაციების მოგება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა (სსკ-ის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) და ორგანიზაციის ამ გადასახადით დაბეგვრა ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის გათვალისწინებით .

პირს უფლება არ აქვს, ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს ხარჯები, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანეთ. საგადასახადო კოდექსი პირის ეკონომიკურ საქმიანობას მის არაერთ სხვა უფლებას და მოვალეობას უკავშირებს, რის გამოც საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრისას, ამ ფაქტის დადგენას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს კანონმდებლობით პირს უფლება აქვს, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც კანონით არ არის აკრძალული. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით „სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აკრძალავი, მათ შორის, კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებული მოქმედება“.

ეკონომიკური საქმიანობის განმარტების შინაარსიდან გამომდინარე, პირის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღების მიზნით წარმოებული „ნებისმიერი საქმიანობა“ მოიცავს ასევე კანონით აკრძალულ საქმიანობას და, შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ საგადასახადო მიზნებისთვის პირის საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობად მიჩნევისათვის, აუცილებელი არ არის საქმიანობა იყოს მართლზომიერი.

ფაქტობრივი გარემოება 1 : დავუშვათ , საწარმო ეწევა ისეთ საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ლიცენზირებას. რადგან სახელმწიფოს (შესაბამის ორგანოს) არ მიუცია ნებართვა/ლიცენზია ამ საქმიანობისათვის , ჩაითვლება, რომ იგი ახორციელებს უკანონო საქმიანობას, მაგრამ საინტერესოა, როგორ უნდა შეფასდეს საკითხი საგადასახადო მიზნებისთვის.

შედეგი : ამ შემთხვევაში საქმიანობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკანონოა, მიჩნეული უნდა იქნეს ეკონომიკურ საქმიანობად და შესაბამისი ოპერაციების გადასახადებით დაბეგვრა განხორციელდეს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს სსკ-ის 73-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილი, რომელიც მიუთითებს, რომ შემოსავალი გადასახადით იბეგრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისი კანონიერება სადავოა, ხოლო საგადასახადო სამართალდარღვევით მიღებული შემოსავალი ან განხორციელებული სხვა ოპერაცია იბეგრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე , სსკ-ის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის



დანაწესი, რომლის თანახმად, ფიზიკური პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის, ლიცენზიის ან ნებართვის გარეშე განხორციელება არ არის ამ ფიზიკური პირის დაბეგვრის მიზნით მისი მეწარმე ფიზიკურ პირად არცნობის საფუძველი.

ანალიზი:

ბ) აქვს თუ არა მნიშვნელობა შემოსავლის ფაქტობრივად მიღებას?

მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის (კომპენსაცია სსკ -ის მე-8 მუხლის მე-14 ნაწილით განმარტებულია როგორც პირის მიერ საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ხარჯების, დანაკარგის ან დანაკლისის ანაზღაურების მიზნით მიღებული ქონება ან/და სარგებელი) მიღების მიზანი ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირის ეკონომიკური საქმიანობის მთავარი ნიშანია.

პირის საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობად მიჩნევისათვის გადამწყვეტია მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღების მიზანი, სურვილი და არა აქვს მნიშვნელობა ფაქტობრივად მიიღო თუ არა პირმა შემოსავალი.

ფაქტობრივი გარემოება 2 : პირმა, საქონლის შემდგომში რეალიზაციის და შემოსავლის/ მოგების მიღების მიზნით, 100 000 ლარად შეიძინა საქონელი, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო მიღებული საქონლის შემდგომი რეალიზაცია ვერ მოახერხა და მოგების ნაცვლად მიიღო ზარალი.

შედეგი: ცხადია, რომ ამ შემთხვევაში პირის მიზანი იყო შემოსავლის, მოგების, კომპენსაციის მიღება და მიუხედავად შედეგებისა, ასეთი საქმიანობა საგადასახადო მიზნებისთვის შეფასდება როგორც ეკონომიკური საქმიანობა.

პირის საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობად დაკვალიფიცირებისათვის მისი საქმიანობის ერთჯერადობას მნიშვნელობა არ აქვს , განსხვავებით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისგან, რომელიც პირის სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთ ნიშნად არაერთჯერადობას მიიჩნევს.

საგადასახადო კოდექსში ამ მხრივ საქმე უფრო მარტივადაა. საგადასახადო მიზნებისთვის ტერმინი „ერთჯერადი“ არ გამოიყენება და, შესაბამისად, პირის ერთჯერადი და არაორგანიზებული საქმიანობა ვერ ჩაითვლება მისი საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობად მიჩნევისათვის გამომრიცხველ გარემოებად.

ანალიზი:

გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, ცხადია, საზღაურის, კომპენსაციის გარეშე ხორციელდება და, ამდენად, განმარტებას საჭიროებს, რა შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ ასეთი საქმიანობა, მიწოდება ან მომსახურება ეკონომიკურ საქმიანობად.

ამ საკითხზე პასუხის გაცემისათვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს, ვინ ახორციელებს უსასყიდლოდ საქონლის მიწოდებას ან მომსახურების გაწევას. კერძოდ, არის თუ არა ეს პირი სამეწარმეო სუბიექტი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ზოგადად მოგების, შემოსავლის მიღება პირის სამეწარმეო საქმიანობის მიზანს წარმოადგენს , რის გამოც შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სამეწარმეო მიზნებისთვის შექმნილ ნებისმიერ სუბიექტს, დღიდან დაფუძნებისა გაცნობიერებული აქვს თავისი საქმიანობის მიზანი. შესაბამისად, ასეთი სუბიექტის მიერ სხვა პირისთვის საქონლის უსასყიდლო მიწოდება ან მომსახურების გაწევა ეკონომიკურ საქმიანობად უნდა ჩაითვალოს.

ჩაითვლება თუ არა ეკონომიკურ საქმიანობად არამეწარმე ფიზიკური პირის ან სხვა არასამეწარმეო სუბიექტის მიერ სხვა პირისათვის საქონლის უსასყიდლო მიწოდება ანუ „ჩუქება“?

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური საქმიანობების, სსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ჩამონათვალში, ასეთი პირების მიერ სხვა პირისათვის საქონლის უსასყიდლო მიწოდება ანუ „ჩუქება“ არ არის მითითებული, ამ კითხვაზე მაინც უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ.

არამეწარმე ფიზიკური პირის ან სხვა არასამეწარმეო სუბიექტის მიერ სხვა პირისათვის საქონლის მიწოდების ანუ „ჩუქების“ მიზანი ამ ქმედების შინაარსიდან გამომდინარე, როგორც წესი, არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება, რის გამოც აღნიშნული ოპერაცია არ უნდა ჩაითვალოს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულად.



ნაწილი 2. ეკონომიკურ საქმიანობას არ მიეკუთვნება:

- ა) სახელმწიფო ხელისუფლების, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მათთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან, გარდა ხელშეკრულების საფუძველზე ფასიანი მომსახურების გაწევისა;
- ბ) საქველმოქმედო საქმიანობა;
- გ) რელიგიური საქმიანობა;
- დ) დაქირავებით მუშაობა;
- ე) ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების განთავსება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაზღაურებზე;
- ვ) საქმიანობის ან/და ოპერაციების სახეები ან/და ოპერაციების ერთობლიობა, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით.

ანალიზი:

„ა“ -ე“ ქვეპუნქტის განმარტებისათვის - ამ მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულია ჩამონათვალი საქმიანობის იმ სახეებისა, რომელიც არ ითვლება ეკონომიკურ საქმიანობად.

ჩამონათვალში მოქცეულია საქმიანობის ის სახეები, რომელიც, ერთი მხრივ, როგორც წესი, არ არის გამიზნული მოგების ან შემოსავლის მისაღებად და თავისი შინაარსით არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას, (მაგალითად, სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა, საქველმოქმედო ან რელიგიური საქმიანობა), და მეორე მხრივ, საქმიანობის სახეები, რომელიც შესაძლებელია ეკონომიკური საქმიანობის რომელიმე ნიშანს ატარებდეს, მაგრამ საგადასახადო კოდექსის მიზნებისთვის მაინც არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობად.

მაგალითად, დაქირავებით მუშაობის მიზანი, რა თქმა უნდა, საზღაურის, ხელფასის და კომპენსაციის მიღებაა, თუმცა ასეთი საქმიანობა კანონმდებლობით მაინც გამიჯნულია ეკონომიკური საქმიანობისგან.

ამის მიზეზი მარტივია. როგორც ცნობილია, საგადასახადო კოდექსი დაქირავებით მუშაობასთან დაკავშირებით, სხვა ურთიერთობებისგან განსხვავებულ დაბეგვრის (გადასახადის გადახდის) წესს აყალიბებს.

კერძოდ, დაქირავებით მუშაობისათვის გაცემული ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის „დაკავება“ დამქირავებლის ანუ საგადასახადო აგენტის ვალდებულებაა, რის გამოც ლოგიკურია, რომ ასეთი საქმიანობა არ ითვლება ეკონომიკურ საქმიანობად და დაქირავებულ პირს, რომლის საგადასახადო ვალდებულებას ასრულებს დამქირავებელი ანუ საგადასახადო აგენტი, საგადასახადო აღრიცხვაზე დამოუკიდებლად დადგომის ვალდებულება არ გააჩნია.

ასევე, საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული პროცენტები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება, რის გამოც გონივრულ აზრს იქნებოდა მოკლებული, ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების განთავსება ბანკში დეპოზიტსა და ანაზღაურებზე მხოლოდ იმიტომ, რომ ის შეიძლება ხორციელდებოდეს შემოსავლის მიღების მიზნით, ჩათვლილიყო ეკონომიკურ საქმიანობად და ამ კატეგორიის ფიზიკურ პირს დაკისრებოდა საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება.

შენიშვნა: საქველმოქმედო და რელიგიური საქმიანობა, აგრეთვე დაქირავებით მუშაობა განმარტებულია შესაბამისად, სსკ-ის მე-10. მე-11 და მე-12 მუხლებით და შესაბამისი განმარტებები გაკეთდება ამ მუხლების კომენტარებისას.

ანალიზი:

„ა“ ქვეპუნქტის განმარტებისათვის - რა ითვლება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობად?

საგადასახადო კოდექსი არ განმარტავს, თუ რომელი ორგანოები შეიძლება მივაკუთვნოთ საგადასახადო მიზნებისთვის სახელმწიფო ხელისუფლების, დამოუკიდებელ ეროვნული მარეგულირებელ ან ად



გილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საგადასახადო ურთიერთობების რეგულირებისას საგადასახადო კოდექსში გამოყენებული საქართველოს კანონმდებლობის ტერმინები და ცნებები გამოიყენება იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც მათ აქვთ შესაბამის კანონმდებლობაში, თუ საგადასახადო კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამდენად, ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ორგანოები უნდა განისაზღვროს იმგვარად, როგორც ეს განმარტებულია შესაბამის კანონმდებლობაში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით, თუმცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების პირდაპირი ჩამონათვალი კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

ამდენად, საგადასახადო მიზნებისთვის **სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოდ** უნდა ჩაითვალოს, ყველა ის ორგანო, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას, კერძოდ, საკანონმდებლო, აღმასრულებელ ან სასამართლო ხელისუფლებას, აგრეთვე სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს.

„დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოებია:

- ა) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;
- ბ) საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თვითმმართველი ერთეული საკუთარ და დელეგირებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით.

ადგილობრივი თვითმმართველობის **წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო**, ხოლო **აღმასრულებელი ორგანო - გამგეობა (მერია)**, რომელთა საქმიანობა, მათთვის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და კანონმდებლობის სხვა აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, არ ჩაითვლება ეკონომიკურ საქმიანობად.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ჩამონათვალი მოქცეული ორგანოს საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობად ჩაითვლება, თუ ის უწყევს სხვა პირს ფასიან მომსახურებას ხელშეკრულების საფუძველზე.

ფაქტობრივი გარემოება 3 : დავუშვათ, სახელმწიფო ხელისუფლების რომელიმე ორგანოს იჯარით აქვს გაცემული მისი კუთვნილი ფართი.

შედეგი: საქმიანობის ამ ნაწილში ჩაითვლება, რომ იგი ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას და, შესაბამისად, განისაზღვრება საგადასახადო ვალდებულებებიც. ამასთან, ამ შემთხვევაში, საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობად დაკვალიფიცირებისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს მომსახურების შესახებ ხელშეკრულება წერილობითია თუ ზეპირი.

ანალიზი:
„ვ“ ქვეპუნქტის განმარტებისათვის – ამ მუხლით განსაზღვრული საქმიანობათა ჩამონათვალი, რომელიც არ განეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას, ამომწურავი არ არის. საგადასახადო კოდექსი უფლებას აძლევს საქართველოს ფინანსთა მინისტრს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით დამატებით განსაზღვროს იმ საქმიანობის ან/და ოპერაციების სახეები ან/და ოპერაციების ერთობლიობა, რომელიც არ განეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც წესი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებას არ საჭიროებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი შეთანხმების აუცილებლობა გამოწვეულია დაბეგვრის მიზნებისათვის პირის საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობად დაკვალიფიცირების განსაკუთრებული მნიშვნელობით.

ასეთი საქმიანობების ჩამონათვალი განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანების 49-ე მუხლით, რომლის თანახმად, ეკონომიკურ საქმიანობას არ განეკუთვნება:

ა) ფიზიკური პირის მიერ ყოველი უწყვეტი 48 თვის განმავლობაში მის საკუთრებაში არსებული 4 საცხოვრებელი ბინის (სახლის), მასზე დამაგრებული მიწით, რეალიზაცია;

ფაქტობრივი გარემოება 4 : ფიზიკური პირის მიერ მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) და მასზე დამაგრებული მიწის რეალიზაცია შემოსავლის, კომპენსაციის მიღების მიზნით ხორციელდება და ამ ოპერაციის ეკონომიკურ საქმიანობად განხილვის შემთხვევაში ფიზიკურ პირს, 100000 ლარზე მეტი ღირებულების საკუთარი ბინის ერთჯერადი რეალიზაციის შემთხვევაშიც კი, წარმოეშობოდა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება.

შედეგი: შესაბამისად, ოპერაციის შინაარსის გათვალისწინებით, განისაზღვრა, რომ ასეთი ოპერაცია ეკონომიკურ საქმიანობად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი ატარებს სამეწარმეო საქმიანობის ნიშნებს, ანუ ხორციელდება ორგანიზებულად, არაერთჯერადად და სისტემატურად. ასეთ შემთხვევად ხსენებული ბრძანება ფიზიკური პირის მიერ 4 წლის (უწყვეტი 48 თვის) განმავლობაში 4 საცხოვრებელი ბინის რეალიზაციას განიხილავს.

ბ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ რეგისტრირებულ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებზე GPRS და crypto-ს მოდულის ფისკალური საკონტროლო-სალარო აპარატის უსასყიდლოდ მიწოდება.

გ) ელექტრონული სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი პირის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“-ის მომსახურების საფასურის ამოღების მომსახურება.

ანალიზი:

ამ ქვეპუნქტებით განსაზღვრულია ოპერაციების სახეები, რომლებიც თავისი შინაარსით არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას, რადგან ხორციელდება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან მომსახურებას გაწევა და საქმიანობა არ არის გამიზნული მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, თუმცა, ხსენებული ოპერაციების სახეები არ არის მითითებული სსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ჩამონათვალში.

ოპერაციების შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულია, რომ ეკონომიკურ საქმიანობას არ განეკუთვნება შემოსავლების სამსახურის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებზე GPRS და crypto-ს მოდულის ფისკალური საკონტროლო-სალარო აპარატის დანერგვასთან დაკავშირებით უსასყიდლოდ მიწოდება, აგრეთვე ელექტრონული სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი პირის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“-ის მომსახურების საფასურის ამოღების მომსახურება, რომელიც ასევე ხორციელდება უსასყიდლოდ.

